საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. ჰ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.08.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №105/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ჰ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 25 ივლისს მის მიმართა განხორციელდა ცემა, რასაც შეესწრო ადვოკატი ა. გ.. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ა. ჰ.-ს დასჭირდა ადვოკატის დახმარება და ა. გ.-მ ურჩია თ. მ.-სთვის მიემართა. ცემის ფაქტთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციაში წარიმართა ა. ჰ.-ს გამოკითხვა, თუმცა ადვოკატი თ. მ. პოლიციაში გამოკითხვის დასრულების დროს მივიდა და ისე მოაწერა ხელი გამოკითხვის ოქმს, რომ მის შინაარს არც თვითონ და არც ა. ჰ. არ გასცნობია. მეორე დღეს, გამომძიებელმა ა. ჰ. გაგზავნა ექსპერტიზის ჩასატარებლად, სადაც დახვდა ადვოკატი თ. მ. და ორდერის გამოსაწერად მოსთხოვა თანხის გადახდა. ა. ჰ.-მ ადვოკატს გადასცა 200 ლარი და საწვავის თანხა 25 ლარი.

ადვოკატმა ასევე მოითხოვა 1000 ლარის გადახდა კერძო ექსპერტიზის ჩასატარებლად, რადგან მისი განმარტებით კერძო ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნაში მითითებული იქნებოდა მძიმე დაზიანებები. საჩივრის ავტორი არ დათანხმდა ადვოკატის შემოთავაზებას, რადგან არ სურდა უკანონო საბუთის გაკეთება იმ ფაქტზე, რისი თვითმხილველიც უამრავი მოწმე იყო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. მ.-მ მოსთხოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობისა და ექიმის დანიშნულებების გადაცემა პოლიციაში წარდგენის მიზნით, ა. ჰ.-მ კი სთხოვა მათი ასლების გადაცემა. აღნიშნულზე გაბრაზდა ადვოკატი და ა. ჰ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ადვოკატი მისი მისამართით იგინებოდა და უთხრა, რომ საბუთებს არ დაუბრუნებდა თუ 300 ლარს არ გადასცემდა. ა. ჰ.-მ გამოიძახა პოლიცია და საჩივარი დაწერა ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ. პოლიციაში ყოფნის დროს ა. ჰ.-მ დაურეკა ადვოკატს, ტელეფონზე საუბრის დროს ადვოკატი კვლავ განაგრძობდა სიტყვიერი შეურაცხყოფების მიყენებას, რაც ასევე მოისმინეს პოლიციის თანამშრომლებმა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 04 სექტემბერს ადვოკატმა თ. მ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება და აღნიშნა, რომ ა. ჰ.-ს საჩივარში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ა. ჰ.-ს თხოვნით დაიწყო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შესაბამისი მოქმედებები, რადგან ის იყო ძლიერ ნაცემი და ცემის კვალი გამოკვეთილი იყო მის სხეულზე. გამომძიებლის მითითებით ადვოკატმა საჩივრის ავტორი წაიყვანა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნა არ იყო სრულყოფილი, რის გამოც ადვოკატმა მიმართა ალტერნატიულ ექსპერტიზას. კერძო ექსპერტის განმარტებით საჭირო იყო მკურნალობა ნევროპათალოგთან, იმ შემთხვევაში, თუ ექიმი მკურნალობას დაუნიშნავდა 21 დღის განმავლობაში, მას მიეცემოდა ექსპერტის დასკვნა, რომ ცემის შემდეგ ჰქონდა სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. აღნიშნული განუმარტა ადვოკატმა მის კლიენტს, რაზედაც ა. ჰ.-მ დათანხმდა. ადვოკატმა კი ჰონორარის სახით მოსთხოვა 1000 ლარის გადახდა, რაზედაც ამ უკანასკნელმა თავდაპირველად თანხმობა განაცხადა, შემდეგ კი უარი თქვა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ა. ჰ. ცრუობს, როდესაც საუბრობს ადვოკატისთვის 200 ლარის გადაცემის თაობაზე. საჩივრის ავტორმა მას მხოლოდ საწვავისთვის, კერძოდ 35 ლიტრი ბენზინისთვის გადასცა თანხა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ასევე არ შეესაბამება სიმართლეს საჩივრის ავტორის მითითება დოკუმენტაციის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ, რადგან ადვოკატმა საბუთები, რომლებიც აიღო საავადმყოფოში წარადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში და ისინი ამჟამად იმყოფება საგამოძიებო ორგანოში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან გამოწერა ორი ორდერი. პირველი ორდერის საფუძველზე გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციაში, სადაც გაეცნო საქმის მასალებს, დაესწრო ა. ჰ.-ს გამოკითხვას და შემდეგ ორივემ მოაწერეს გამოკითხვის ოქმს ხელს,

ხოლო მეორე ორდერი წარადგინა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც სამკურნალოდ იმყოფებოდა ა. ჰ..

2.5 ადვოკატი მიიჩნევს, რომ ა. ჰ.-ს ინტერესების დაცვა განახორციელა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად, რის გამოც არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ა. ჰ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 14 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი თ. მ. მისი ინტერესების დაცვის მიზნით საპატრულო პოლიციაში გამოკითხვის დროს გამოცხადდა დაგვიანებით, ხელი მოაწერა გამოკითხვის ოქმს ისე, რომ მის შინაარს არ გაეცნო და კლიენტს სთხოვდა კერძო ექსპერტიზის ჩატარებას, რისთვისაც 1000 ლარის გადახდა მოსთხოვა. ასევე, საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ მისი მიმართით იგინებოდა.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ თ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> *„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები.“*
>
> *ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის სახელით და კლიენტის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რასაც მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს და რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. კლიენტის ინტერესების დაცვის დროს ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.

5.4 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს ადვოკატი და აღნიშნავს, რომ ა. ჰ.-ს ინტერესები დაიცვა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად და მისი მომსახურებისთვის ჰონორარი არ მიუღია, საჩივრის ავტორმა მას მხოლოდ საწვავის ხარჯი აუნაზღაურა.

5.6 მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით ადვოკატს ა. ჰ.-ს ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის საქმეზე ა. ჰ.-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. ასევე მხარეთა განმარტებით ირკვევა, რომ ადვოკატი იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში და ლევან სამხარაული სახელობის ექსპერტიზის ბიუროში. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მიერ 2019 წლის 19 დეკემბერს გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ა. ჰ.-ს და ე. ქ.-ის მიერ ერთმანეთის მიმართა ძალადობის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულ საქმეზე მოწმე ა. ჰ.-ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი თ. მ., რომელმაც კანონით დადგენილი წესით წარადგინა დაცვის ორდერი და მონაწილეობა მიიღო ა. ჰ.-ს მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიებს არ ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ცნობა და მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტება, ვინაიდან ირკვევა, რომ ადვოკატი ა. ჰ.-ს ინტერესებს იცავდა საგამოძიებო ორგანოებში, ასევე ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით განხორციელებულ პროცედურებში. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით არ დგინდება ადვოკატ თ. მ.-ის მხრიდან არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური მომსახურების ფაქტი. კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისია

ადვოკატის მოქმედებებს აფასებს ეთიკურობის სტანდარტით და კომისიას არ აქვს უფლებამოსილება შეაფასოს ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი.

5.8 პრეტენზია იმის შესახებ, რომ ადვოკატი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ითხოვდა 1000 ლარს არ არის საფუძვლიანი, რადგან ადვოკატის მხრიდან ასეთი შეთავაზების არსებობის პირობებშიც მხარის გადასაწყვეტი იყო სურდა თუ არა კერძო ექსპერტიზის ჩატარება. საჩივრის ავტორის განმარტებით მას არ სურდა ასეთი ექსპერტიზის ჩატარება და მის ჩატარებაზე უარი განუცხადა ადვოკატს. შესაბამისად, შეთავაზებაზე უარის თქმით არ დადგა რაიმე შედეგი, რის გამოც ვერ ვიმსჯელებთ საჩივრის ავტორის მიმართ რაიმე სახის ზიანის არსებობაზე.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზია ასევე ეხება ადვოკატ თ. მ.-ის მხრიდან მისი მისამართით განხორციელებულ შეურაცხყოფას, რომელსაც ადვოკატი არ ადასტურებს. საჩივრის ავტორმა აღნიშნული გარემოების დადასტურების მიზნით ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ჩანაწერი, თუმცა ჩაწერის თაობაზე ადვოკატი თ. მ. არ იყო გაფრთხილებული. ასეთი გზით მოპოვებული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერი კანონდარღვევით არის მოპოვებული და საპროცესო კოლეგია ასეთ მასალას მტკიცებულებად ვერ გამოიყენებს.

5.10 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ თ. მ.-ის მიერ ა. ჰ.-სთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, ასევე არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციურო მომსახურების ფაქტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატ თ. მ.-ის პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ნორმების დარღვევა, შესაბამისად წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №105/19 ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/